ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

12 ნოემბერი 2012 წელი

სოფ. მარტყოფი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ სსიპ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ქ. ჩინაშვილის სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი" მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. მარტყოფი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „აუდიტ გ.მ."-ს (მის: გარდაბანის რაიონი სოფ. ნორიო) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა მამუკაშვილის სახით, ('შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება, გამარტივებული შესყიდის წესით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ჩაატაროს სსიპ მარტყოფის №1 სკოლაში იჯარით გასაცემი ფართობის შეფასების სამუშაოები და გასცეს შესაბამისი დასკვნა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60 (სამოცი) ლარს.

3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სტანდარტებს.

4. მომსახურების შესრულების ვადა

„მიმწოდებელი" მომსახურებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2012 წლის 13 ნოემბერს.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება წარმოებს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ფორმის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშწორებით, შემსრულებლის ანგარიშწორების ანგარიშზე.

5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე, 2012 წლის 20 ნოემბრამდე.

5.3 წინასწარი გადახდა დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით, მხოლოდ შესაბამისი ღირებულების საბანკო ან სადაზღვეო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა. ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული მომსახურების ღირებულება და მისცეს ავანსი.

ბ. კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

„მიმწოდებელს" მისცეს საშუალება შეამოწმოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, მისცეს აგრეთვე შესაბამისი ახსნა-განმარტება იმ შემთხვევაზე, რომელიც წამოიჭრება აუდიტორის მიერ ვალდებულებების შესრულების პროცესში.

გ. თუ „შემსყიდველი" ვერ უზრუნველყოფს მიაწოდოს აუდიტორს აუცილებელი ინფორმაცია ან აღმოჩნდება, რომ აღრიცხვის სისტემა მიშვებულ მდგომარეობაშია, აუდიტორს უფლება აქვს შეაჩეროს ხელშეკრულების შესრულება, გადარიცხული საავანსო თანხების ანაზღაურების გარეშე.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა. სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება.

ბ. თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მომსახურების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება